<sup>283</sup> 2015 წლის განმავლობაში გამოიცა 4 ჟურნალი, რომლის მიზანია დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ. ჟურნალი გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენაზე.

<sup>284</sup> მომზადდა 2 საინფორმაციო ვიდეო რგოლი.

<sup>285</sup> შემუშავდა და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა ინტერნეტ აპლიკაცია.

<sup>286</sup> დაიბეჭდა და გავრცელდა 85 000 ცალი ბროშურა (65 000 ცალი ქართულ ენაზე და 20 000 ცალი აზერბაიჯანულ ენაზე).

<sup>287</sup> ღონისძიებების ერთიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით, ასევე, თემების გადაფარვისა და არაეფექტური ფინანსური და ადამიანური რესურსების თავიდან აცილების მიზნით, ესტონეთის რესპუბლიკის აქტიური მხარდაჭერით, შეიქმნა ელექტრონული ბაზა - „სტრატეგიული კომუნიკაციის კალენდარი“. კალენდარი წარმოადგენს ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელშიც თავმოყრილი იქნება სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარის ღონისძიებები ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე კომუნიკაციის მიმართულებით.

<sup>288</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და DCFTA-სთან დაკავშირებულ სიკეთეებსა და ამ მხრივ, ქვეყნის მიერ მიღებული სარგებლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა სოციალური ვიდეო რგოლები განათლების, კულტურისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ევროინტეგრაციის პროცესზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის. 2016 წლიდან გაგრძელდება მსგავსი ვიდეო რგოლების მომზადება.

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

<sup>289</sup> ვინაიდან პროექტი გაგრძელდა 2016 წლის 15 თებერვლამდე, სახელმძღვანელოების დაბეჭდვა განხორციელდება 2016 წლის ინვარში.

<sup>290</sup> ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლები 2015 წლის განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა ტელე და რადიო გადაცემებში. გადაცემების განხილვის ძირითადი თემა გახლდათ DCFTA და მასთან დაკავშირებით მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების განხილვა ფართო საზოგადოების მეტად ინფორმირების მიზნით.

<sup>291</sup> რეგულარულად მიმდინარეობს DCFTA ვებ-პორტალზე არსებული ინფორმაციის განახლება განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების კუთხით. ასევე ვებ-პორტალის შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით მიმდინარეობს დონორის მოძიება.

<sup>292</sup> ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ფინანსებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და დაბრკოლებების გამოსავლენ საკითხების განხილვა როგორც სემინარებისა და პრეზენტაციების ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, ასევე, რეგულარული (ყოველდღიურ ფორმატში) სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

<sup>293</sup> ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებასთან დაკავშირებული არსებული და მიმდინარე პროგრამების გაცნობა როგორც სემინარებისა და პრეზენტაციების ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, ასევე, რეგულარული (ყოველდღიურ ფორმატში) სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

<sup>294</sup> დასრულდა მუშაობა ვებ-გვერდის [www.tradewithgeorgia.com](http://www.tradewithgeorgia.com) განახლებაზე, რომელიც წარმოადგენს ქართულ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების ონლაინ ბაზას, ასევე მოიცავს შემსყიდველთათვის ყველა საჭირო ინფორმაციას. ამ ეტაპზე, ვებ-საიტი მუშაობს სატესტო რეჟიმში და მასზე აქტიურად მიმდინარეობს ქართული ექსპორტიორი კომპანიების დარეგისტრირება ონლაინ რეჟიმში. [www.tradewithgeorgia.com](http://www.tradewithgeorgia.com) საიტზე დასრულდა მუშაობა და მიმდინარეობს კომპანიების დარეგისტრირება. საქართველოს საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებული სტატიების გამოქვეყნება ხორციელდება Georgia Today-ს ყოველთვიურ გამოცემაში.

<sup>295</sup> 2015 წლის განმავლობაში საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვებისა და სამგზავრო გადაყვანების განმახორციელებელი საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლებთან სისტემატიურ შეხვედრებს მართავდნენ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ თანამშრომლები (საკვალიფიკაციო ცენტრის უფროსი ელიზბარ დარჩიაშვილი, სახმელეთო ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი შალვა ურიადმოყველი, დირექტორის მრჩეველი დავით კორტავა).

<sup>296</sup> საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ზაფხულისა და ზამთრის სეზონების ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

<sup>297</sup> საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ზაფხულისა და ზამთრის სეზონების ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია, დამატებითი ვიზიტორების მოზიდვა.

<sup>298</sup> 2015 წლის იანვარი-ნოემბრის განმავლობაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის საქართველოს ტურისტული, ისტორიული და კულტურული ღირებულებების უკეთ გაცნობის მიზნით, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ორგანიზება გაუწია პრეს და გაცნობით ტურებს შემდეგი ქვეყნებიდან:

- დიდი ბრიტანეთის სამეფო (ბლოგერი - Face Hunter, 25 თებერვალი - 1 მარტი);
- იტალიის რესპუბლიკა (Bapu Film-ის გადამღები ჯგუფი, 13-20 მარტი);

ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ  
სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში  
2015 წელი

---

- შვედეთი (ჟურნალ Aka Skidor-ის ჟურნალისტები, 15-20 მარტი);
- უნგრეთის რესპუბლიკა (9 ჟურნალისტი, 18-22 მარტი);
- სლოვაკეთის რესპუბლიკა (6 ტუროპერატორი, 16-18 აპრილი);
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, ბელგიის სამეფო (პრეს-ტური ჟურნალისტებისა და ბლოგერებისათვის, 15-21 აპრილი);
- პოლონეთის რესპუბლიკა (ბექდური და ელექტრონული მედიის 11 ჟურნალისტი, 22-27 აპრილი);
- ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა, ესტონეთის რესპუბლიკა (ბექდვითი პრესის 11 ჟურნალისტი, 24-30 აპრილი);
- იტალიის რესპუბლიკა, უნგრეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო (პრეს-ტური ღვინის თემატიკის ჟურნალისტებისათვის, 7-12 მაისი);
- საბერძნეთის რესპუბლიკა (10 ტურო-პერატორი, 2 ჟურნალისტი, 10-15 მაისი);
- ბალტიისპირეთის ქვეყნები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გაცნობითი ტური ტურ-ოპერატორებისათვის, 20-25 მაისი);
- საფრანგეთის რესპუბლიკა (2 ჟურნალისტი, 28 მაისი-5 ივნისი);
- პოლონეთის რესპუბლიკა, დანიის სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა (ჟურნალისტების ჯგუფი, 2-7 ივნისი);
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა (4 ჟურნალისტი, 3-9 ივნისი);
- ესპანეთის სამეფო (1 ჟურნალისტი, პრეს-ტური, 13-19 ივნისი);
- ავსტრიის რესპუბლიკა (1 ჟურნალისტი/მწერალი, პრეს-ტური, 21 ივნისი - 4 ივლისი);
- პოლონეთის რესპუბლიკა (1 მწერალი, პრეს-ტური, 19 ივნისი - 4 ივლისი);
- ავსტრიის რესპუბლიკა (1 ჟურნალისტი/მწერალი, პრეს-ტური, 23 ივლისი - 3 აგვისტო);
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთის სამეფო (ჟურნალისტები და ბლოგერები, პრეს-ტური, 30 ივლისი- 7 აგვისტო);
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, (2 ჟურნალისტი, პრეს-ტური, 20-22 აგვისტო);
- რუმინეთი (2 ჟურნალისტი, პრეს-ტური, 25-28 აგვისტო);
- ლატვიის რესპუბლიკა (6 ჟურნალისტი, პრეს-ტური, 19-23 სექტემბერი);
- საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია (11 მონაწილე, შერეული პრეს-ტური, 8-11 ოქტომბერი);
- დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია (19 მონაწილე, შერეული პრეს-ტური, 9 ნოემბერი);
- დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი (8 მონაწილე, შერეული პრეს-ტური, 9-10 ნოემბერი).

# ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

<sup>299</sup> წლის განმავლობაში პერმანენტულად ხორციელდებოდა შეხვედრები სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის წევრებთან, კომიტეტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. შეხვედრებში ასევე ჩართული იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CIB-ის პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტი, ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

<sup>300</sup> სკოლის მოსწავლეებისათვის პრაქტიკული ტურები ეწყობა რეგიონში არსებულ დასაქმების ობიექტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პროფესიული, უმაღლესი). ექსკურსია ეწყობა მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის და პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის ადგილობრივი სპეციალისტის დახმარებით. 2015 წლის განმავლობაში საპილოტე 482 სკოლის მე-9 კლასში განხორციელდა 1160 სასწავლო ექსკურსია.

<sup>301</sup> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა მოკლევადიანი ტრენინგები, თემატური შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიებები ევროინტეგრაციის საკითხებზე.

<sup>302</sup> 2015 წელს მიმდინარეობდა WorldSkillsSanPaulo 2015-სთვის საერთაშორისო შეჯიბრისთვის საქართველოს გუნდის მზადება. ჩატარდა ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები. შეირჩა 6 ადამიანი, ოთხი - პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებული (კოლეჯები: იკარუსი -2, მერმისი - 1, საპატრიარქოს დეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი - 2); ხოლო ორი - თვითნასწავლი. დაიწყო მზადება 2016 წელს ჩასატარებელი WorldSkills Georgia-ს ფარგლებში, რიგით მესამე ეროვნული შეჯიბრისთვის. 2015 წლის ივნისის თვეში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, WorldSkills Georgia-ს სახელით, გახდა WorldSkills International-ის სრულუფლებიანი წევრი და 2015 წლის აგვისტოში, საქართველოს გუნდმა, მონაწილეობა მიიღო WorldSkills International-ის რიგით 43-ე საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც გაიმართა სან პაოლოში

<sup>303</sup> პროფესიული განათლების პორტალზე (vet.ge) სისტემატურად მიმდინარეობს მონაცემების განახლება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორი კერძო კომპანიებისა პარტნიორობის საუკეთესო მაგალითების შესახებ.

<sup>305</sup> განხორციელდა ეტაპობრივად წლის განმავლობაში.

<sup>306</sup> კოდექსის მოთხოვნების გაცნობის მიზნით გაიმართა შეხვედრები საქართველოში პლასტიკური ბოთლების მომხმარებელი მსხვილი კომპანიებისა და ასევე, საავტომობილო და სამრეწველო ზეთების იმპორტიორებს შორის. ჩატარდა საჯარო ლექციები დაინტერესებული პირებისათვის და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის .

<sup>307</sup> გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ნარჩენების მართვის ახალი მიდგომების დანერგვის პარალელურად პოლიეთილენის პარკებით გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ აქტიურ კამპანია წამოიწყო. სამინისტროს ინიციატივით, 2015 წლიდან პოლიეთილენის პარკებს ეტაპობრივად ბიოდეგრადირებადი პარკები ჩაანაცვლებს. აღნიშნულ ინიციატივას მხარს უჭერს საქართველოში არსებული მსხვილი სავაჭრო ქსელები და მომდევნო წლების მანძილზე პოლიეთილენის პარკებს ბიოდეგრადირებადი პარკები სრულიად ჩაანაცვლებს.

<sup>309</sup> სეზონურად.

<sup>310</sup> მსოფლიოს 15 ქვეყნის 24 ქალაქში გაიმართა შეხვედრა ქართულ დიასპორასთან (საბერძნეთი: ათენი, თესალონიკი; ამერიკის შეერთებული შტატები: ვაშინგტონი, ნიო-იორკი, ლოს-ანჯელესი; ესპანეთი: მადრიდი, ბარსელონა; ბელგია: ბრიუსელი; საფრანგეთი: სტრასბურგი; ნიცა, პარიზი; სომხეთი: ერევანი; გერმანია: ბერლინი, მიუნხენი; უკრაინა: კიევი; იტალია: რომი, ბარი; პოლონეთი: კრაკოვი, ვარშავა; კვიპროსი: ნიქოზია; ავსტრია: ვენა; ჩეხეთი: პრაღა თურქეთი: დუზჯე; ისრაელი.



# ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

<sup>311</sup> ინფორმაცია გაზიარებულ იქნა ელექტრონული ფორმით 200-ზე მეტ ქართულ დიასპორულ ორგანიზაციასთან.

<sup>312</sup> ევროინტეგრაციის კუთხით გამართული შეხვედრების თუ სიახლეების შესახებ სამინისტროს საიტზე განთავსდა ინფორმაცია.

<sup>313</sup> ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე გავრცელდა აფხაზურ და ოსურ ენებზე მომზადებული საინფორმაციო მასალები; სახელმწიფო მინისტრის აპარატს არ გააჩნია ფინანსური რესურსები ამ მიმართულებით.

<sup>314</sup> არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის ინფორმაცია ევროპულ ღირებულებებზე.

<sup>315</sup> სტუდენტური თვითმმართველობების ევროპული სტანდარტებით მართვა.

<sup>316</sup> მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე ახალგაზრდობის სფეროში.

<sup>317</sup> საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, ევროინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაცია.

<sup>318</sup> კონკურსის შედეგად შერჩეულმა კანდიდატმა საქართველოს მასშტაბით ჩაატარა შეხვედრები, მოახდინა გაეროსა და ევროკავშირის შესახებ ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლება.

<sup>319</sup> პროგრამის ფარგლებში ევროპის ქვეყნებში კონკურსის წესით მოხდა ახალგაზრდობის ელჩების შერჩევა, რომლებმაც შექმნეს საქართველოს ბეგობართა ქსელი.

<sup>320</sup> ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიზნით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის ევროკავშირის და ევროპული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

<sup>321</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლები, მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ტელე/რადიო მაუწყებლებზე მომზადებულ/გაშვებულ გადაცემებში, რომლებიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს მათ შორის: სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსმა ამირან დათეშიძემ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „რეალური სივრცე“ და რადიო „თავისუფლების“ გადაცემაში. ამავე სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ნინო ჯინჯოლაჯამ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „რეალური სივრცე“ და მედია-კავშირი „ობიექტივის“ გადაცემაში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა მარი წერეთელმა მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „კურიერში“; ამავე დეპარტამენტის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს უფროსმა ეთერ ცხაკაიამ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „კომუნიკატორი“; ამავე სააგენტოს სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსმა მაია ბუჩუკურმა მონაწილეობა მიიღო რადიო „იმედის“ გადაცემაში და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „რეალური სივრცე“. სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თბილისის ხანდაზმულ პირთა

# ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

პანსიონტის დირექტორმა დარეჯან თომამემ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემაში „დღის შოუ“ და გაშუქდა ხანდაზმულთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები.

<sup>322</sup> სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სურდოთარჯიმნის მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსდა პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულებებში. ამასთან, ქვეყნის მასშტაბით, ყრუთა კავშირის ფილიალებში მინიმუმ კვირაში ერთხელ იკრიბებიან სმენადაქვეითებული პირები, რომელთა ინფორმირებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ, უზრუნველყოფს პროგრამის კოორდინატორი.

<sup>323</sup> საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგენკომ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემაში „სტუდია სპექტრი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემაში „კურიერი“, ტელეკომპანია GDS-ის გადაცემაში 20/30, ტელეკომპანია მაესტროს გადაცემაში „ბიზნეს კონტაქტი“. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა სოფრომამემ მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ეკონომეტრი“, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გადაცემაში „ბიზნეს კურიერი“, ტელეკომპანია GDS-ის გადაცემაში 20/30, ტელეკომპანია იმედის გადაცემაში „ქრონიკა“ და სხვა.

<sup>324</sup> შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) და შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების ევროპული სააგენტოს (OHSA) ექსპერტების მიერ 2015 წლის ივლისის (13-18.07.2015) სექტემბრის (12-16.09.2015) და ნოემბრის (17-20.11.2015) თვეში ჩატარდა შრომის მონიტორების ტრენინგები თემებზე:

- 1) შრომის ინსპექციის თანამედროვე და ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება;
- 2) იძულებითი შრომისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხები;
- 3) სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების საკითხები.

2015 ნოემბერში დამატებით დაიგეგმა და ჩატარდა მონიტორების ტრენინგები ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემდეგ საკითხებზე:

- 1) სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოება;
- 2) იძულებითი შრომა, შრომითი ექსპლუატაცია, ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი (გამოვლენის, შეფასებისა და დიაგნოსტიკის კრიტერიუმები);
- 3) სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი ნორმები;
- 4) საზოგადოებრივი, სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოება.

მიმდინარე წლის დეკემბერში დამატებით ჩატარდა მონიტორების ტრენინგები ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემდეგ საკითხებზე:

- 1) სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სისტემები, რისკების შეფასება;
- 2) საწარმოო ჰიგიენა და სანიტარია;

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი ILO-2001; საწარმოო ტრავმატიზმი და უბედური შემთხვევების გამოკვლევა, დოკუმენტირება, ანაზღაურება; პერსონალის სწავლება და ინსტრუქტაჟი.

<sup>325</sup> იუნესკოსთან კომუნიკაციის შედეგად განისაზღვრა, რომ კონვენციის შესრულების ანგარიშის წარდგენა მოხდება 2016 წლის 30 აპრილამდე, რომელიც მოიცავს 2009-2016 წლებში შესრულებულ ღონისძიებებს. ანგარიშის მომზადების მიზნით შეიქმნა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

ამზადებს ანგარიშს. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის შესრულების სამოქმედო გეგმის მომზადების მიზნით, დაწყებულია საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა. 2015 წლის დეკემბერში საქართველოს დელეგაცია დაესწრო კულტურული თვითგამოხატვის, მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის კომიტეტის მე-9 სესიას სადაც წარმოდგენილი იყო კონვენციის ფარგლებში განხორციელებული 10წლიანი ანგარიში. 23 დეკემბერს, ევროპის სახლში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც თავიანთი მისიისა და მიზნების შესაბამისად „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის იმპლემენტაციის მონაწილენი არიან. მემორანდუმის მიხედვით, მხარეები ითანამშრომლებენ კონვენციის მიზნების განსახორციელებლად. „ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობა“ პროგრამის განხორციელება: 2015 წლის პირველ ნახევარში, დ. ბაზოვის ქართველ ებრაელთა ისტორიის მუზეუმის მიერ მომზადდა საპროექტო განაცხადი ფილმის შექმნის თაობაზე. სსიპ - კინოს, თეატრის, მუსიკის და ქორეოგრაფიის მუზეუმის მიერ მომზადდა საპროექტო განაცხადი საქართველოში კულტურული მრავალფეროვნების ამსახველი ალბომის შექმნის თაობაზე.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით განხორციელდა მთელი რიგი პროექტები:

- „აზერბაიჯანული ხალიჩები - ტრადიციის შენარჩუნება“ სსიპ - მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის პროექტი, რომლის მიზანი აზერბაიჯანული ხალიჩის ტრადიციის შენარჩუნება, ქსოვის ტექნოლოგიის შესწავლა და ახალგაზრდებში მისი პოპულარიზაციაა;
- გაიმართა ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“- ფესტივალში ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 180-მდე ბავშვი მონაწილეობდა. ფესტივალი ახალგაზრდებში კლასიკური მუსიკისა და ფოლკლორული ტრადიციებისადმი ინტერესის გაზრდას, კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას ემსახურება;
- გამოიცა გერმანელი მხატვრების-პაულ და ელენ ფრანკენების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომი, რომელიც საქართველოში მიღვაწე სხვა გერმანელი მხატვრების ნამუშევრებსაც მოიცავს - სსიპ - კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის პროექტი
- გამოიცა კოსტა ხეთაგუროვის ორენოვანი კრებული, რომელიც ოსი მწერლის შემოქმედების პოპულარიზაციასა ემსახურება;
- ა(ა)იპ „ქალთა თანადგომის“ პროექტი „ოსური კლასიკური მუსიკის საღამო“, რომლის მიზანიც ოსური კლასიკური მუსიკის საზოგადოებისათვის გაცნობა-პოპულარიზაციაა;
- „კავკასიურ სახლში“ „კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი“ (21 მაისი) მიძღვნილი ტრადიციული ხელოვნების გამოფენა გაიმართა;
- პროექტ „მრავალეროვანი საქართველო“- ფარგლებში შეხვედრები გაიმართა თანამედროვე მწერლებთან. (ნინოწმინდა, ბოლნისი) ასევე შედგა სამინისტროს მიერ განხორციელებული ორენოვანი მეგა-თამაშების „ერთიანი საქართველო“ პრეზენტაცია“, ნაჩვენები იქნა ლ. თუთბერიძის „ მოირა“ და მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმები.
- მოეწყო სერგო ფარაჯანოვისადმი მიძღვნილი გამოფენა სახელწოდების- სერგო ფარაჯანოვი XXI საუკუნის სიზმარი- ქართველ და უკრაინელ ხელოვანთა თანამონაწილეობით.
- საქართველოში 2017 წელს დაგეგმილი გერმანული კოლონიური კულტურის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის წინმსწრებად, 2015 წელს მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია - კვლევა“, კერძოდ, გერმანული კოლონიების

# ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

ისტორიული დასახლებების, მათი ურბანული ქსოვილის, საკულტო და საერო, მათ შორის საზოგადოებრივი, ინდუსტრიული თუ საცხოვრებელი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშების ინვენტარიზაცია;

- საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დაფუძნებული პარტნიორული შეთანხმების ფარგლებში მომზადდა თბილისში მდებარე ნორაშენის ტაძრის საპროექტო დოკუმენტაცია და მიმდინარეობის სარეაბილიტაციო სამუშაოები; დასრულდა თბილისში მდებარე სურბ გევორქის საკათედრო ტაძრის მრავალწლიანი პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კედლის მხატვრობის სომეხი რესტავრატორები;
- საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დაფუძნებული პარტნიორობის ფარგლებში განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე კვირიკე ჯამეს (ხის მეჩეთი) გადახურვა.

საქართველო-გერმანიის მეგობრობის 200 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო 2017 წლის წინმსწრებად, 2015 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტომ სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირთან თანამშრომლობით განახორციელა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული მრავალფეროვანი მემკვიდრეობის, კერძოდ, გერმანული კოლონიების ისტორიული დასახლებების, მათი ურბანული ქსოვილის, საკულტო და საერო, მათ შორის საზოგადოებრივი, ინდუსტრიული თუ საცხოვრებელი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშების ინვენტარიზაცია-დოკუმენტირება; ასევე, იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება, რომელთაც გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევები ესაჭიროებათ. გერმანული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მომდევნო წლებში ეტაპობრივად დაიწყება გერმანული მემკვიდრეობის გამორჩეული ძეგლების სარესტავრაციო პროექტების მომზადება და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელება

<sup>326</sup> 2015 წლის 28 ივნისიდან 8 ივლისამდე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ბონში, საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრში გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 39-ე სესიაზე გაიმართა საქართველოს პრეზენტაცია. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები 2-6 ნოემბერს, ქ. ვარშავაში, „ქართული კინოს დღეების“ ორგანიზების მიზნით. 2015 წლის 9-16 ოქტომბერს, პოლონეთში, ქ. გდანსკში შექსპირის თეატრში გაიმართა ქართული კულტურის კვირეული. ქართული კვირეულის პროგრამის გარდა ტრადიციული და პოპულარული მიმართულებებისა, როგორც არის ქართული ხალხური ცეკვა და პოლიფონია, ქართული დრამატული თეატრი, საზნაურული და ღვინის კულტურა, ასევე ემსახურება თანამედროვე მიმართულებების წარმოჩენას, როგორც არის ფოტოგრაფია, თანამედროვე თეატრი, პერფორმანსი, კინო, ელექტრონული მუსიკა და თანამედროვე ხელოვნება. ქართულ კვირეულში მონაწილეობდნენ:

- ✓ სსიპ კ. მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი სპექტაკლით "ქალი ძალით";
- ✓ სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“;
- ✓ სსიპ ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 4 სტუდენტი,
- ✓ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი - წარმოდგენილი იყო 4 ფილმი;
- ✓ სამეფო უბნის თეატრი სპექტაკლით „ტროელი ქალები“;
- ✓ "თითების თეატრი" სპექტაკლით „ექსტრავაგანსა“;
- ✓ ანსამბლი „მძლევალი“;
- ✓ თანამედროვე ხელოვნების ჯგუფი „New Collective“.

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

ასევე, გაიმართა ნინო ჯორჯაძის ფოტოგამოფენა „ქართველი ქალის თვალთ დანახული პირველი მსოფლიო ომი“; ნიკა მაჩაიძისა და ნატალია ბერიძის ელექტრონული მუსიკის სადამო; ლადო დარახველიძის, ნადია წულუკიძის, ონო დიკერისა და მიკი გეორგონის გამოფენა და პერფორმანსი „Museum TV Station“.

ასევე, გაიმართა რამოდენიმე მნიშვნელოვან თემაზე დებატები და ვორკშოპი, მათ შორის თანამედროვე ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე, ქართულ თანამედროვე კინოზე, კულტურულ დიალოგზე.

2015 წლის 22 აპრილს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ესტონეთში საქართველოს საელჩოსა ინიციატივით, ესტონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოფენა „ქართული ანბანის სამი სახეობა“ გაიხსნა.

გამოფენა მიემდგვნა საქართველოს მიერ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაზე ნომინაცია - "სამი სახეობის ქართული ანბანის კულტურა", იუნესკოში (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) წარდგენას; ჩვენს მეგობარ ქვეყნებში მის პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის 1 ივნისს ესტონეთში საქართველოს საელჩოს მიერ გამართული საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიების მთავარი ლეიტმოტივი იყო ჩვენი მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ფოტო გამოფენა.

<sup>327</sup> 2015 წლის 24 თებერვალს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროკავშირის პროგრამის - „შემოქმედებითი ევროპა“ წევრი გახდა. ჩამოყალიბდა შემოქმედებითი ევროპის კულტურისა და მედიის „დესკები“.

განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

2015 წლის 19 მარტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „შემოქმედებითი ევროპის“ პოლონეთის რესპუბლიკის ოფისის ხელმძღვანელმა ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ შესახებ პრეზენტაცია გამართა;

2015 წლის 17 აპრილს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „შემოქმედებითი ევროპის“ ლიტვის რესპუბლიკის ოფისის ხელმძღვანელმა ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ შესახებ პრეზენტაცია გამართა.

2015 წლის 27 მაისს, საქართველოში "შემოქმედებითი ევროპის" ორივე ქვეპროგრამის ოფისების ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს დიასპორის პირველ პროფესიულ ფორუმში „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“;

2015 წლის 30 მაისს, საქართველოში "შემოქმედებითი ევროპის" ორივე ქვეპროგრამის ოფისების ხელმძღვანელებმა პრეზენტაცია გამართეს პროგრამის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მიერ ორგანიზებულ გასვლით შეხვედრაზე ჟურნალისტებისთვის;

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ MEDIA ოფისმა, ეროვნულ კინოცენტრთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ევროპულ კინომარკეტში (Le Marché du Film) და კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ სხვა ღონისძიებებში. MEDIA ოფისი, MEDIA ქვეპროგრამის წევრ სხვა ქვეყნებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ევროპულ პავილიონზე;

2015 წლის 15 ივნისს, კავკასიის რეგიონის მულტიმედია ინდუსტრიის ღონისძიებაზე - ICG 2015 - განხორციელდა MEDIA ქვეპროგრამის შესახებ პრეზენტაცია;

2015 წლის 18 ივნისს, „შემოქმედებითი ევროპის“ CULTURE ოფისის ხელმძღვანელმა გამართა ღია საინფორმაციო შეხვედრა პროგრამის შესახებ ბენეფიციარებისათვის;

2015 წლის 19 ივნისს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში გაიმართა MEDIA ქვეპროგრამის პრეზენტაცია და ქართული აუდიოვიზუალური სექტორისთვის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერის შესაძლებლობების განხილვა;

2015 წლის 27 ივნისს, პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ქართველმა დესკებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალური მაუწყებლის ქვემო ქართლის TV-ს პირდაპირ ეთერში, სადაც განხილული იყო „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამის ორივე მომართულების ფარგლებში მხარდაჭერის შესაძლებლობები;

2015 წლის 24-26 ივნისს, „შემოქმედებითი ევროპის“ CULTURE ოფისის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო პრაქტიკულ სასწავლო კურსში „შემოქმედებითი ევროპის“ შესახებ.

2015 წლის 30 ივნისს, ევროკომისიაში გაიგზავნა პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ქართველი დესკების სააპლიკაციო დოკუმენტაციის საბოლოო ვერსია;

2015 წლის 9 ივლისს, „შემოქმედებითი ევროპის“ CULTURE ოფისის ხელმძღვანელმა გამართა ღია საინფორმაციო შეხვედრა პროგრამის შესახებ ბენეფიციარებისათვის;

2015 წლის 20 აგვისტოს, „შემოქმედებითი ევროპის“ CULTURE ოფისის ხელმძღვანელმა გამართა ღია საინფორმაციო შეხვედრა პროგრამის შესახებ ბენეფიციარებისათვის, კერძოდ განხილული იყო პროგრამის ფარგლებში „თანამშრომლობის პროექტების“ კონკურსის პრიორიტეტები და პირობები;

2015 წლის 18 სექტემბერს, გაიმართა რეგიონული კონფერენცია, რომლის ფარგლებში მოეწყო ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტების ოფიციალური გახსნა და პრეზენტაცია - „თემების მიერ მართული ურბანული ისტორიული ქალაქებისთვის“ (COMUS) და „ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პროგრამა - კულტურა და კრეატიულობა“. კონფერენციის ფარგლებში ასევე გაიმართა, პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ოფიციალური პრეზენტაცია;

2015 წლის 19 სექტემბერს „შემოქმედებითი ევროპის“ MEDIA ოფისის ხელმძღვანელმა გამართა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმის საავროტო ჯინოს X საერთაშორის კინოფესტივალის ფარგლებში;

# ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

2015 წლის 5 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში „შემოქმედებითი ევროპის“ CULTURE ოფისის ხელმძღვანელმა გამართა საჯარო ლექცია „კულტურის სექტორი ევროკავშირში და პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“;

2015 წლის 23 ნოემბერს საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკმა მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის მმართველი სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგში, პროგრამის პრიორიტეტებისა და ახალი დედლაინების შესახებ;

2015 წლის 25 ნოემბერს ქ. ბრიუსელში, ბელგია „შემოქმედებითი ევროპის“ დესკმა გამართა შექვედრა ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის მმართველი სააგენტოს კოორდინატორებთან. შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო როგორც ტექნიკური საკითხები, ასევე პროგრამის ფარგლებში მომავალი გეგმები;

2015 წლის 22 დეკემბერს საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახალგაზრდა ორგანიზაციების მე-7 ფორუმში. ფორუმის ფარგლებში გაიმართა ორგანიზაციების გამოფენა „ლია სივრცის“ მეთოდით სადაც დასწრების შესაძლებლობა ქონდა ყველა დაინტერესებულ მსურველს. გამოფენაზე წარდგენილი იყო "შემოქმედებითი ევროპის" სტენდი, რომელიც მოიცავდა შტენდერს და საინფორმაციო მასალას. ყველა მსურველს მიეცა მოკლე კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა და გადაეცა საინფორმაციო ბუკლეტები პროგრამის შესახებ.

<sup>328</sup> 30 იანვარს ქ. თბილისში გაიმართა პირველი კონფერენცია „საქართველოს კულტურის სტრატეგია: ადამიანები, პროცესები, პრიორიტეტები“, რომლის მიზანი იყო კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნის შესახებ ცნობადობის ამაღლება და საქართველოს კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევის წარდგენა, რომელიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურის პროგრამის ფარგლებში იქნა შემუშავებული. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მსჯელობა და დისკუსია კულტურის სფეროს განვითარების პრიორიტეტებსა და, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, არსებული პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ ნაბიჯებზე; „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურის პროგრამის ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ევროკავშირის ექსპერტ რაგნარ სიილთან თანამშრომლობით, შემუშავდა კულტურის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესის განმსაზღვრელი სამუშაო დოკუმენტია. 2015 წლის 14-17 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეწვია ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურის პროგრამა 2- ის ექსპერტი ტიმ უილიამსი, რომელმაც კულტურის პოლიტიკის სამმართველოს კონსულტაციები გაუწია სტრატეგიის შემუშავების პროცესში. 2015 წლის 31 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უწყებათაშორისი ჯგუფის პირველი სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრას ესწრებოდა საერთაშორისო ექსპერტი რაგნარ სიილი, რომელმაც კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის შესახებ ისაუბრა.

2015 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბელგრადის ხელოვნების უნივერსიტეტის იუნესკოს კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი - მილენა დრაგიშევიჩი ეწვია. პროფესორი გაეცნო კულტურის სტრატეგიაზე მუშაობის პროცესს, სამინისტროს თანამშრომლებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და სტრატეგიის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით რჩევები და რეკომენდაციები დაუტოვა. 2015 წლის 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურის პოლიტიკის სამმართველოს საერთაშორისო ექსპერტი რაგნარ სიილი სტუმრობდა, რომელმაც სამმართველოს თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარა და კონსულტაცია გაუწია კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში.

<sup>329</sup> 2015 წლის 12-30 მაისი - გამოჩენილი ქართველი დირიჟორის და საზოგადო მოღვაწის ჯანსუღ კახიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ფესტივალი.

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

---

- 2015 წლის 23-25 მაისი - თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი
- 2015 წლის 4-7 ივნისი - საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „Kavkaz Jazz“;
- 2015 წლის 19-26 ივლისი - მუსიკალური ფესტივალი „არტგენი“;
- 2015 წლის 23-26 ივლისს - „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“;
- 2015 წლის 25-30 აგვისტოს და 2-4 სექტემბერი - კლასიკური მუსიკის ფესტივალი „დამის სერენადები“.
- 2015 წლის 10-15 სექტემბერს ქ. ბათუმში გაიმართა „ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი“;
- 2015 წლის 10-18 ოქტომბერი - „კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში“.
- 2015 წლის 13-18 ოქტომბერი - თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი
- 2015 წლის 22 ოქტომბერი - 5 ნოემბერი - „კამერული მუსიკის ფესტივალი“;
- 2015 წლის 23-29 ოქტომბერი - „თბილისის ჯაზ ფესტივალი“;
- 2015 წლის 13-30 ნოემბერი, 3,6 დეკემბერი - „ბაროკოს ეპოქის მუსიკის ფესტივალი“.
- 2015 წლის 15-30 დეკემბერი - თბილისის XVIII საერთაშორისო ფესტივალი „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“;
- 2015 წლის დეკემბერი - „თანამედროვე მუსიკის საღამოები“;
- 2015 წლის აპრილი-ივნისი - „აღდგომიდან ამაღლებამდე“.
- 2015 წელი - ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „სითი საუნდი“;
- 2015 წლის 5-15 ივლისი - რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი;
- 2015 წლის 24 სექტემბერი - 8 ოქტომბერი - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი;
- 2015 წლის 17 ოქტომბერი - 17 ნოემბერი - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“;
- 2015 წლის 19 სექტემბერი - 19 ოქტომბერი - ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „Fest I Nova“



## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

2015 წლის 1-31 ოქტომბერი - თბილისის საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ტრიენალე;

2015 წლის 2-7 ივნისი - სტუდენტური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი „ამირანი“;

2015 წლის 30-31 მაისი - 1 ივნისი - საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს პეპელა - 2015“;

2015 წლის სექტემბერი-ოქტომბერი - ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“.

2015 წლის 1-6 სექტემბერი - ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ნიქოზი“.

2015 წლის 13-20 სექტემბერი - ბათუმის საავტორო კინოფესტივალი BIAFF;

2015 წლის 16-18 ოქტომბერი კინო-ტელე ოპერატორთა საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს თვალი“;

2015 წლის 18-22 ოქტომბერი - საერთაშორისო ქრისტიანული ფილმების ფესტივალი „წმ. ანდრეას ჯვარი“;

2015 წლის 21-25 ოქტომბერი - დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „CinéDoc“.

2015 წლის 30 ნოემბერი - 6 დეკემბერი - თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი;

2015 სელიქ 1-7 მაისი - ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“;

2015 წლის 25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი - თბილისის საერთაშორისო ფოტო ფესტივალი;

2015 წლის ოქტომბერში, ჩატარდა ბავშვთა ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ჯიფონი“.

2015 წლის ოქტომბერში, ჩატარდა ევროპული კინოაკადემიის ნორჩ მაცურებელთა ჯილდის ცერემონია.

2015 წლის 5-13 დეკემბერს ქ. მილანში საერთაშორისო ბაზრობაზე „L'Artigiano in Fiera“ სახელისნო „ლურჯი სუფრებისა“ და ქართული მინანქრის ნიმუშები იქნა ექსპონირებული.

<sup>330</sup> ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 65-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ ევროპული კინოს ბაზრობაზე (EFM) 2015 წლის თებერვალში მეათედ წარსდგა. კინო ბაზრობაზე გაიხსნა საქართველოს სტენდი, სადაც ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებოდა ფესტივალისა და ბაზრობის სტუმრებს და კინო პროფესიონალებს ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, ასევე ახალი ქართული ფილმების და განვითარების სტრატეგიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის დროს პრესტიჟულ გალა დაჯილდოებაზე „კინო მშვიდობისთვის“, წარმოდგენილი იყო 2 ქართული ფილმი - ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ ნომინაციაში ყველაზე ღირებული ფილმი (Cinema for Peace Award for The Most Valuable Movie of the Year) და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“, როგორც საუკეთესო საერთაშორისო მწვანე ფილმი(The International Green Film Award). „მანდარინები“ ოსკარის და

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

ოქროს გლობუსის ნომინანტი გახდა. 2015 წლის 5-15 მარტს, გამართული სოფიის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა ქართული კინოს ფოკუსი, რომლის ფარგლებშიც 18 ფილმის ჩვენება გაიმართა. კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმი „კრედიტის ლიმიტი“. ფესტივალის ფარგლებში გამართულ კოპროდუქციის ბაზრობაზე (Sofia Meetings) წარდგენილი იყო პროექტი „მეზობლები“, რომლის რეჟისორია გრიგოლ აბაშიძე, ხოლო პროდიუსერი ლაშა ხალვაში. პროექტმა მიიღო სექციის ერთადერთი პრიზი 10 000 ევრო ფილმის პოსტპროდუქციისთვის. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს ნიონის კრეატიული დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე 21-ე საუკუნის ქართული დოკუმენტური კინოს რეტროსპექტივის გამართვის საორგანიზაციო საკითხებზე. 2015 წლის 8-19 მაისს, ტორონტოს საერთაშორისო კინო ფესტივალზე „Toronto International Film Festival –Tiff“ (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ღონისძიება, რომელიც 1976 წლიდან იმართება) განხორციელდა ქართული ფილმების რეტროსპექტივა - „Discovering Georgian Cinema“. წარმოდგენილი იყო 14 სრულმეტრაჟიანი და 4 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 2015 წლის 13-22 მაისს, ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზე 2015 წელს უკვე მეცხრედ იქნა წარმოდგენილი საქართველოს პავილიონით (№ 105, Village International Riviera). 2015 წელს მიმდინარეობს პიარ-კამპანია ლ. თუთბერიძის ფილმის „ მორა“ ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს „ოსკარის“ ნომინაციაზე წარსადგენად. 2015 წლის 13-29 ნოემბერს საქართველო ფოკუს ქვეყანად იყო წარმოდგენილი ტალინის კინოფესტივალზე „Tallinn Black Nights Film Festival“.

<sup>331</sup> მთარგმნელობითი პროგრამების ფარგლებში 2015 წლის იანვარი-მარტის პერიოდში დაფინანსდა 50 პროექტი: ქართული ლიტერატურა უცხოენოვან თარგმანებში (32 პროექტი), უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში (18 პროექტი). მარტი-მაისის პერიოდში ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის მიმართულებით დაფინანსდა 15 პროექტი.

<sup>332</sup> მიმდინარეობს პროექტით გათვალისწინებული ლაბორატორიული კვლევები.

<sup>333</sup> მიმდინარეობს ძეგლზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების მონიტორინგი, დაზიანებების პრევენცია და ძეგლის კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვება. მიმდინარეობს ძალისხმევა ძეგლის განვითარების პროექტი.

<sup>334</sup> 2015 წლის 14 მარტიდან 21 ივნისის ჩათვლით, ექსპოზიცია გახსნილი იყო ფლორენციაში, პალაცო სროციში. 2015 წლის 28 ივლისიდან, ექსპოზიცია წარმოდგენილი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს ანჯელესში ჯ. პოლ გეტის მუზეუმში, ხოლო 2015 წლის დეკემბრიდან გამოფენა გადავიდა ვაშინგტონში, ხელოვნების ეროვნულ გალერეაში.

<sup>335</sup> კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ მიმდინარეობს ერთობლივი პროექტით გათვალისწინებული დაზვერვითი სამუშაოები ისტორიულ მთიან კოლხეთში, ლეჩხუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები. 2015 წლის აპრილში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო სესიაზე გაიმართა ჩატარებული კვლევების შესახებ საანგარიშო მოხსენების წარდგენა. ინგლისში ტარდება ისტორიულ მთიან კოლხეთში დაზვერვითი სამუშაოების დროს მოპოვებული მასალის ანალიტიკური კვლევა (წილების და მადნის შემცველი ქანების ქიმიური შემადგენლობის კვლევა).

<sup>336</sup> მიმდინარეობს ვანის მუზეუმის სარეაბილიტაციო პროექტი. 2015 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა ახალი მინაშენის კონსტრუქციული ნაწილის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მინაშენის კარკასული ნაწილი დამთავრებულია და ამოსულია სახურავის ნიშნულზე. სამუზეუმო კომპლექსის მთლიან პროექტირებაზე გრძელდება მუშაობა.

<sup>337</sup> პროექტის განსახორციელებლად მიმდინარეობს საორგანიზაციო სამუშაოები და დამატებითი რესურსების მოძიება გამოფენის 2016 წელს გამართვის მიზნით.

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

<sup>338</sup> 2014 წლიდან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო მოლაპარაკებები კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და რესტავრაციის საერთაშორისო ცენტრთან (ICCROM) საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში რეგიონული საწვრთნელი პლატფორმის ჩამოყალიბების მიზნით. 2015 წლის 23 მაისს, ეროვნულ სააგენტოსა და ICCROM-ს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს „საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და კონსერვაციის პოლიტიკის განვითარების მხარდაჭერის შესახებ“. მემორანდუმში მიზნად ისახავს ეროვნული სააგენტოს მეთოდოლოგიურ და საექსპერტო მხარდაჭერას. საწვრთნელი პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად მომზადდა სამწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად ICCROM-ის ცენტრმა ქართულ მხარესთან ერთად დაიწყო დარგში არსებული ვითარების კომპლექსური კვლევა (უნივერსიტეტების პროგრამები, კურიკულუმები, ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომი რესურსები, განხორციელებული კონსერვაციების მეთოდოლოგია და ტექნიკა); რომელიც უკვე შემუშავებული პლატფორმის სახით დასრულდება 2017 წელს.

<sup>339</sup> არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის საქართველოში იმპლემენტაციის მიზნით, 2015 წელს მუშაობები გაგრძელდა არამატერიალური მემკვიდრეობის მართვის პრინციპებსა და დაცვის მექანიზმებზე, რომელიც მომავალში აისახება კულტურული მემკვიდრეობის ახალ კანონ-პროექტში; არამატერიალური მემკვიდრეობის რაობისა და დაცვის უნარების გაძლიერების მიზნით გაგრძელდა მუშაობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებთან, ჩატარდა ტრენინგები სენაკის, ახალციხის, დუშეთის, ბათუმის და მესტიის მუნიციპალიტეტებში; ახალციხის უნივერსიტეტთან გაფორმდა მემორანდუმში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; 2015 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის საპრეზენტაციო ნუსხისათვის წარსადგენად მომზადდა ნომინაცია: „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურა“; უფროსკლასელთათვის ჩატარდა მორიგი ყოველწლიური კონკურსი, რომელიც წელს პირველად ჩატარდა იუნესკოს პატრონაჟით. 2015 წლის თემას წარმოადგენდა „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტრადიციები“. მომზადდა და გამოიცა კონკურსის მორიგი საილუსტრაციო ბროშურა. 2015 წლის 10 ივნისს, შედგა გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი. არამატერიალური მემკვიდრეობის შესახებ ინფორმირებულობის ხელშესაწყობად გამოიცა ბროშურა „დედაენა“ და გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. 2015 წელს შემუშავდა არამატერიალური მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზისა და ინტერაქტიული ვებგვერდის კონცეფცია, რომელიც მომავალში დაედება საფუძვლად დარგის თანამედროვე მართვის მექანიზმებს. ქართული მხარე აქტიურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო ფორუმებში, რომელიც იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სექციის პატრონაჟით იმართება, კერძოდ მიიღო მონაწილეობა: კიევი (უკრაინა) და სოფიაში (ბულგარეთი) გამართულ სემინარებზე.

<sup>340</sup> 2015 წელს, სფეროს გაუმჯობესების მიზნით დასრულდა შემდეგი კომპლექსური პროექტების განხორციელება:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემისა და კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული სისტემის (GIS) შექმნა და შემდგომი განვითარება (ეტაპი), შედეგად, დასრულებულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი გეოსაინფორმაციო პორტალის მომზადება, საცდელ რეჟიმში აეწყო კავშირი და მონაცემთა მიმოსვლა ცენტრალურ მონაცემთა ბაზასა და გარე მომხმარებელს შორის.
- პრაქტიკული სემინარები პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, კერძოდ: ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მართვის გეგმის განვითარების, ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ნანგრევების კონსერვაციის და ნოქალაქევის „ხის სახლის“ აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით.

მცირე და საშუალო ისტორიული ძალაქების მართვის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში გაიმართა 2 საერთაშორისო კონფერენცია - ქ. ჭიათურასა და თბილისში, რომელიც შეეხო: ინდუსტრიული მემკვიდრეობის მართვისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კრიმინალის აღმოფხვრის მექანიზმებს.

<sup>341</sup> მიმდინარეობს თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან, აღნიშნულ საკითხზე საექსპერტო მისიის მოვლინების მიზნით.

## ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში 2015 წელი

---

<sup>342</sup> 2015 წლის იანვრიდან, მიმდინარეობს პროექტის საწყისი ფაზა. გამოიყო პროექტის ეროვნული კოორდინატორი, დამუშავდა საწყისი ეტაპის სამოქმედო გეგმა. შედგა კომუნიკაცია კანდიდატ ქალაქებთან და შეირჩა პილოტური ქალაქი. 2015 წლის 18 სექტემბერს, ქ. თბილისში გაიმართა რეგიონალური კონფერენცია - „თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიული ქალაქებისთვის (COMUS) და ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურისა და შემოქმედების პროგრამა“. ოქტომბერ-დეკემბრის ჩათვლით პროექტის ფარგლებში ჩატარდა რიგი რეგიონალური სემინარებისა და სამუშაო შეხვედრებისა; ასევე პერიოდულად იმართებოდა საკოორდინაციო შეხვედრები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში.